

**ახალგაზრდების ინტეგრაციის
პროგრამის საინფორმაციო
ბიულეტენი
გამოცემა მეორე,
ოქტომბერი 2016 - იანვარი 2017**

ევროპის ფონდი, ახალგაზრდების ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, აქტიურად უჭერს მხარს ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივიზმისა და მოხალისეობის გაზრდას, ადგილობრივ თემებში არსებული საჭიროებების მოსაგვარებლად. 2016 წლის შემოდგომაზე პროგრამას **147** ახალი წევრი შემოუერთდა, ასევე, ჩამოყალიბდა “ახალგაზრდული იდეის” კიდევ ერთი - რაჭის კომიტეტი. გრანტების მართვასა და სოციალურ ლიდერობაზე ტრენინგების გავლის შემდეგ, „ახალგაზრდული იდეის“ წევრებმა, საქართველოს **27** მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის, საგრანტო კონკურსი გამოაცხადეს, რომლის ფარგლებშიც, მათ:

- ✓ ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები **250**-ზე მეტ სკოლაში;
- ✓ შეძლეს დაეინტერესებინათ **1 200**-ზე მეტი თანატოლი, რომელთაც საგრანტო კონკურსში **400**-მდე საპროექტო განაცხადი წარმოადგინეს;
- ✓ დააფინანსეს **102** მიკრო პროექტი, რომლის განხორციელებასაც ახალგაზრდები გაზაფხულიდან დაიწყებენ.



სამოქალაქო აქტივიზმის წახალისების გარდა, ფონდი ცდილობს ახალგაზრდებში მენარმეობის პოპულარიზაციასაც. გარდა იმისა, რომ პროგრამის 145-მა წევრმა მენარმეობაზე ტრენინგები გაიარა და თბილისში მოქმედი სოციალური საწარმოების საქმიანობას გაეცნო, გორის, დედოფლისწყაროსა და ხონის ახალგაზრდული იდეის კომიტეტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, თავიანთ რეგიონებში თავადაც განეხორციელებინათ სოციალური მენარმეობის პროექტები.

„სანამ მენარმეობის თემაზე ევროპის ფონდის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს დავესწრებოდი, არც კი ვიცოდი, რა იყო მენარმეობა, ან როგორ შეიძლებოდა ის ყოფილიყო სოციალური. სოციალური მენარმეობის პროექტიც, რომელიც ტრენინგის გავლის შემდგომ გორის და ხონის ახალგაზრდული იდეის კომიტეტებმა ერთობლივად შევიმუშავეთ, ჩემთვის სრულიად ახალი გამოწვევა იყო. პირველ ეტაპზე, შშმ ბავშვების დახმარებით, მაკულატურისთვის საჭირო ყუთები დავამზადეთ. რთულია, გადმოვცე ის სიხარული და აღტაცება, რასაც ბავშვები გრძნობდნენ მუშაობის პროცესში. ახლაც ადფრთოვანებული ვარ მათი მონდომებით და ფანტაზიის უნარით. ძალიან დიდი სითბო და სიყვარული იგრძნობოდა მათ ნახატებში. ბედნიერი ვარ, რომ მათთან მუშაობის და იმის თქმის შესაძლებლობა მომეცა, რომ ისინი განსაკუთრებულები არიან და რომ მათ გარეშე ვერაფერს შევძლებდით. შემდეგი ნაბიჯი მოხატული ყუთების სკოლებში განაწილება და მაკულატურის შეგროვება იყო. მაკულატურის ჩაბარების შემდეგ მიღებული თანხით ჩანთებისთვის საჭირო მასალები შევიძინეთ, შშმ პირებთან ერთად ჩანთების შეკერვა დავიწყეთ და მათი გამოფენა-გაყიდვა მოვანწყვეთ. შემოსული თანხის ნაწილით, ხელახლა ვაპირებთ ჩანთების დამზადებას და გაყიდვას, ხოლო ნაწილს მათ გადავცემთ, ვინც ჩანთების მომზადებაში იყო ჩართული. მუშაობის პროცესში იმდენი ახალი უნარ-ჩვევა აღმოვაჩინე საკუთარ თავში, რომ თავადაც ვაკვირვებელი ვარ. ვისწავლე, რომ მთავარია გჯეროდეს საკუთარი თავის და იმ ჯგუფის, ვისათანაც მუშაობ, და რომ ახალმა გამოწვევებმა კი არ უნდა შეგვაშინოს, პირიქით ჩვენ თავად უნდა ვქმნიდეთ მათ. ჩვენი ცხოვრება მხოლოდ მაშინ გახდება უკეთესი, როდესაც საზოგადოებისთვის რაიმე ღირებულს გავაკეთებთ.“

**-ანი ბესიაშვილი
გორის ახალგაზრდული იდეის წევრი**



ახალგაზრდების ინტეგრაციის პროგრამის კურსდამთავრებულები, კვლავ აგრძელებენ პროგრამაში მონაწილეობით მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების სხვადასხვა მიმართულებით გამოყენებას. დღემდე, პროგრამას 655 კურსდამთავრებული ჰყავს. სტატისტიკა აჩვენებს, რომ მათი 95%, ვინც უმაღლესი განათლება უკვე მიიღო, დასაქმებულია ბიზნესსა თუ სხვადასხვა საჯარო სფეროებში.

„ მახსოვს, მეათე კლასში ვიყავი, არაფრის კეთების მოტივაცია არ მქონდა, სკოლაშიც კი არ დავდიოდი ხშირად. ერთ მშვენიერ დღეს, სკოლაში ზუსტად იმ დროს მივედი, როდესაც ევროპის ფონდის წარმომადგენლები „ახალგაზრდული იდეის“ ახალი წევრების შესარჩევად გასაუბრებებს ატარებდნენ. ვიფიქრე, მშვენიერი აზრია, საკუთრ იდეებს გავუზიარებ სხვებს, მეტი არაფრის კეთება მომიწევს მეთქი. რამე ხომ უნდა მეკეთებინა, მანუხებდა ის, რომ არაფერი მანუხებდა. მოკლედ, ასე შემარჩიეს „ახალგაზრდული იდეის“ წევრად. მერე აქ გავიგე, თუ რამხელა ძალა აქვს შრომას, მთელი საქართველოდან ამდენ მოტივირებულ და ნიჭერ ახალგაზრდასთან ერთად მუშაობამ მეც მომცა მოტივაცია მომავალი ცხოვრებისთვის, მოტივაცია, რომ ვყოფილიყავი წარმატებული. დღეს ვთვლი, რომ წარმატებული ვარ. უკვე რამდენიმე მცირე ბიზნესის თანამფლობელი ვარ, მაშინ როცა ბავშვობაში ფინანსურად ძალიან გვიჭირდა. ვფიქრობ, რაც ახლა მაქვს, ის რომ დღეს ქუჩაში არ ვდგავარ, დიდი წილი „ახალგაზრდული იდეის“ დამსახურებაა. ევროპის ფონდის წარმომადგენლებს, რა თქმა უნდა, ჩემთვის ლანგრით არ მოურთმევიათ ეს წარმატება, მათ იმ დროს უტაქტო ქუჩის ბიჭუნაში დაინახეს ის, რაც შემეძლო და რაც ახლა ვარ და მიხარია, რომ დღეს ამ გამოცდილების გაზიარება სხვებისთვისაც შემიძლია. „



**-გოგი ხოჭოლავა
ზუგდიდის ახალგაზრდული იდეის წევრი 2011-2012 წლებში**

**საკონტაქტო ინფორმაცია:
ევროპის ფონდი**

კავსაძის ქუჩა # 3,
თბილისი 0179, საქართველო
ტელ.: (+995 32) 225 39 42
ელ-ფოსტა: info@epfound.ge

ან მოგვძებნეთ Facebook-ზე:
 Find Europe Foundation on
Facebook

**აქტიური მოქალაქე
აძლიერებს სამოგადროებას**

